Публичная б-ка

საჯარო ბიბლიოთეკა

Атәылакуа зегьы рпролетарцәа, шәеидышәкыл!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# АКОЛЛЕКТИВТӘ ҴЫА
# კოლექტიური შრომა

Қырҭтәылатәи КП Гудауҭатәи араикоми аҧьажәлар рдепутатцәа рраисовети ирҭыжьуа агазеҭ

საქართველოს კ. პ. გუდაუთის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს ორგანო

АКОЛЛЕКТИВ ДЖА — орган Гудаутского РК КП Грузии и райсовета депутатов трудящихся

Амҽыша, апрель 1 1956 шықуса. № 28 (1.662). Ахә 10 кап.

საჭიროა უნარიანად გამოვიყენოთ თითეული დღე, თვითეული საათიც კი და მთელი ძალები დავრაზმოთ საგაზაფხულო ხვნაში არსებული ჩამორჩენის დაუყოვნებლივ გამოსწორებისათვის.

სანიმუშოდ მოვამზადოთ სიმინდის წარმატებით თესვისათვის!

## სიმინდის უხვი მოსავლისათვის

კომუნისტური პარტია უდიდეს ყურადღებას აქცევს სიმინდის, როგორც სასურსათო, აგრეთვე მეცხოველეობის უმნიშვნელოვანესი საკვები კულტურის მოსავლიანობის გადიდებას.

რაიონში მეცხოველეობა საკვები ბაზის უქონლობის გამო დაბალ დონეზე დგას, ხოლო სიმინდი წარმოადგენს ერთერთ კულტურას, რომელსაც შეუძლია მოგვცეს დიდძალი საკვები მასა. ამავე დროს ცნობილია, რომ სიმინდი საკვები ერთეულის შემცველობის მხრივ წინ დგას ყველა კულტურაზე, გარდა შაქრის ჭარხლისა. ამასთან სიმინდი ჩვენში მოსახლეობის ძირითად საკვებს წარმოადგენს. აღსანიშნავია ის, რომ სიმინდის მოსავლისა და მოყვანისათვის გაცილებით ნაკლები შრომა იხარჯება, ვიდრე ყველა სხვა საკვები კულტურებისათვის.

სამწუხაროდ, სიმინდის ამ უდიდეს მნიშვნელობას ზოგიერთ კოლმეურნეობების გამგეობები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. მთელ რიგ კოლმეურნეობებში სიმინდის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა არ აღემატება 4-7 ცენტნერს, რაც სამარცხვინო მოვლენად ჩაითვლება.

გასულ სამეურნეო წელს სიმინდის ძალზე დაბალი მოსავალი მიიღეს სოფელ აჭანდარის წერეთლის სახელობის, სოფელ ანუხვის ჭავჭავაძის სახელობის, სოფელ ააცის მოლოტოვის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებმა. რაიონში სიმინდის მოსავლიანობამ საშუალოდ ჰექტარზე მხოლოდ 12,9 ცენტნერს შეადგინა.

გასული წლის შედეგებიდან ჯერ კიდევ არ გამოუტანიათ სათანადო დასკვნები და წელსაც ცუდად განაგრძობენ მუშაობას მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო არტელები. ამით უნდა აიხსნას ის მდგომარეობა, რომ რაიონში სიმინდისათვის საგაზაფხულო ხვნის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 10,8 პროცენტით.

ცალკეულ კოლმეურნეობებს საგაზაფხულო ხვნა ჯერაც არ დაუწყიათ. ასე, მაგალითად, სოფელ ზვანდრიფშის კოლმეურნეობა „ალაშარა“, სოფელ ყულანურხვის სტალინის სახელობის, კოლმეურნეობა „ყულანურხვა“, სოფელ აბგარხუქის კოლმეურნეობა „ამსნი ყაფში“ და სხვა კოლმეურნეობები ჯერ კიდევ არ შესდგომიან საგაზაფხულო ხვნას.

აგრეთვე თავის მუშაობაში ნაკლოვანებები გააჩნია გუდაუთის მტს-ს. არის შემთხვევები როცა ტრაქტორი ცდება, ხვნაზე მომუშავეებზე არ არის დაწესებული დღეღამური დავალებანი და კონტროლი.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების, კოლმეურნეობათა გამგეობების, სასოფლო საბჭოებისა და მტს-ის ყოველდღიური ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობა, შეისწავლონ ჩამორჩენის მიზეზები და სასწრაფოდ მიიღონ ზომები მის აღმოსაფხვრელად.

სიმინდის მოსავლიანობის გადიდება შესაძლებელია მაღალხარისხოვნად, დროულად, შემჭიდროვებულ ვადებში ყველა ღონისძიების კომპლექსურად გატარებით, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების პრაქტიკაში დანერგვით.

მაღალი მოსავლის მიღებისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს სიმინდის თესვას კვადრატულ-ბუდობრივი წესით. წელს რაიონის კოლმეურნეობებმა კვადრატულ და კვადრატულ-ბუდობრივი წესით უნდა დათესონ 300 ჰექტარზე სიმინდი. საჭიროა სანიმუშოდ მოვაწყოთ ნიადაგის თესვისწინა დამუშავება.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა, კოლმეურნეობებმა და სოფლის მეურნეობის ყველა სპეციალისტმა მთელი ძალები უნდა მოახმარონ სიმინდის მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებას. ამისათვის საჭიროა სასწრაფოდ აღმოვფხვრათ ხვნაში არსებული ჩამორჩენა. მაღალხარისხოვნად მოვაწყოთ თესვა, დავთესოთ ჯიშიანი თესლი, შემდგომში საუკეთესოდ მოვუაროთ ნათესს.

ის საწარმოო და პოლიტიკური აქტივობა, რომელიც ამჟამად სუფევს საკოლმეურნეო სოფელში მშობლიური პარტიის XX ყრილობის შედეგებთან დაკავშირებით, ხელსაყრელად უნდა გამოვიყენოთ საგაზაფხულო ხვნის წარმატებით ჩატარებისათვის.

## Акомҿареидгылатә билеҭ иазкны ахулҧаз

Март 30 азы араионтә культуратә Ҩны аҟны иҟан ахулҧаз акомҿареидгылатә билеҭ иазкны.

Ари ахулҧаз аҟны ажәахә калҵеит Қырҭтәылатәи ЛКСМ Гудауҭатәи араиком аҩбатәи амаӡаныҟугаҩ Л. Загаина.

Уи далацәажәеит акомҿареидгыла авышьаҟугыла иназкны нахьанӡа иахысыз афырхаҵаратә мҩеи, акомҿареидгылатә билеҭ дара рзы иаҵсоуи, акомҿареидгылатә билеҭ аҵсахра ишзыкыу ртәы.

Ахулҧаз аҿы иҟугыланы иҵәажәеит Н. Гунба (аибардырга аҟнытә акомҿареидгылатәи организациа амаӡаныҟугаҩ), Кривопалова (Бамборатәи ажьтә совхоз азвеновод-ҧхьагылаҩ), убас иҵегьгьы.

Аҵыхутәан иҟан ахатәгуаҧҟаратә кружоккуа рыҟугылараҟуа.

## Аҧьажәлар ҭахы маҭәала рәикуршәаразы

Ачандара аҟыҭа аҟалакь ацентр иацәыхароу, аколнхаракуа ҧшьба еидызкылуа қыҭоуп. Араатәи аколнхацәа рқыҭантәи ихуахуҭырҭатә магазин аҟны рҭахыу атоварқуа роуа аҟа ҭара акырӡа зҵазк'уа уысуп.

Иахҳызыз мызкуак раахыс — аҩ. Г. Лазба ари аҟыҭантәи амагазин еиҳабыс, данышьҭеҵ асақуа иреиҧшымкуа агаз, аҧыка, асапын, ухәубас егьырҭ атоварқуагьы енҧкьаӡом. Аҟыҭантәи амагазин абас аколнхацәа рҭыҧаҿ ҭахы маҭәала нахьеиқунаршәо, ҳәарас иаҭахызеи, русураҿы аамҭа рцәызӡом.

Аҩ. Лазба ихы надҵаны иҧыкоуп аҟыҭантәи аҧьажәлар уажәынахысгьы еиҕьны рымаҵ оура.

А. Хагба.

## წიგნის კვირეული

მიმდინარე წლის 26 მარტიდან დაიწყო სახალხო წიგნის კვირეული. მოსწავლეები, რომლებიც შინაარსიანად ატარებენ საგაზაფხულო არდადეგებს დიდი ინტერესით ათვალიერებენ წიგნის მაღაზიის ვიტრინებს და იძენენ მათთვის საინტერესო წიგნებს.

ბავშვთა უკეთ მომსახურეობის მიზნით მასწავლებელთა ბიბლიოთეკის დარბაზში მოეწყო ახალი წიგნების გამოფენა. აქ არის ისეთი წიგნები როგორიცაა: ნ. ჩუკოვსკის „ზღვის მონადირე“, ი. იანოვსკის „მოთხრობები“, ლერმონტოვის „პოეზია“, ა. ზვერევის „მოთხრობები და ზღა“, ა. ულიანოვას „ილიჩის ბავშვობა და სკოლის წლები“, ეთომ ბურჯი „ლექსები“ და სხვ.

აქ მიდიან მოსწავლეები მშობლებთან ერთად და არჩევენ საინტერესო ლიტერატურას.

## მეტი ყურადღება პოლიტექნიკურ სწავლებას

პარტიის XX ყრილობამ დიდი ამოცანები დასახა ჩვენი სკოლისა და განათლების დარგის მუშაკების წინაშე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. განსაკუთრებით იქნა ყურადღება გამახვილებული სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების შემოღებაზე, რომელიც ჯერ კიდევ ნელი ტემპით მიმდინარეობს; მოსწავლეები თეორიულად მიღებულ ცოდნას სრულყოფილად ვერ იყენებენ პრაქტიკაში.

საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ სწავლება მოწყვეტილია ცხოვრებას, სკოლადამთავრებულნი საკმაოდ მომზადებული ვერ არიან პრაქტიკული საქმიანობისათვის.

როგორი მდგომარეობაა ამ მიმართულებით რაიონის სკოლებში? აშკარად უნდა ითქვას, რომ სკოლებში პოლიტექნიზმის დანერგვის საქმეს არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება.

მართალია, ამ უკანასკნელ დროს გარკვეული ნაბიჯებია გადადგმული; გუდაუთის პირველ, მეორე, მესამე, ლიხნისა და ნოვიათონის საშუალო სკოლებში მოაწყვეს სასწავლო სახელოსნოები, შეიძინეს ხისა და ლითონის დასამუშავებელი ჩარხები, მიმდინარეობს პრაქტიკული მეცადინეობა მანქანათმცოდნეობასა, ელექტროტექნიკასა და სოფლის მეურნეობაში. მაგრამ ყველა სკოლაში ასე როდია საქმე.

ჯერ კიდევ დიდი რაოდენობით არიან სკოლის დირექტორები, მასწავლებლები, რომლებიც ვერ იჩენენ გამჭრიახობას, ინიციატივას ამ მეტად მნიშვნელოვან საქმისადმი. ისინი ელოდებიან ზემოდან დახმარებას. შეფი ორგანიზაციებიც ზოგ შემთხვევაში ნაკლებად არიან დაინტერესებული სასკოლო საკითხებით და ყოველივე ამის გამო სკოლათა უმრავლესობაში ამ მიმართულებით თითქმის არაფერი არ გაკეთებულა.

გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტს, რომ დურიფშის (სკოლის დირექტორი ი. თარკილი), აჭანდარის (სკოლის დირექტორი მ. ცარგუში), მუგუძირხვის (სკოლის დირექტორი ტ. გაბრავა), აგარაკისა (სკოლის დირექტორი მ. მანუკიანი) და ჯირხვის (სკოლის დირექტორი ა. მუქბა) საშუალო სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების საქმეში ან არაფერი გაკეთებულა, ანდა თუ გაკეთდა ძალიან უმნიშვნელო, ხოლო რაც შეეხება რვაწლიან სკოლებს, აქ თითქმის გამონაკლისი 2-3 სკოლისა არაფერი გაკეთებულა.

აღნიშნული სკოლების დირექტორები, მასწავლებლები და განათლების მუშაკებიც კი თათბირზე, საუბრებში ბევრს ლაპარაკობენ პოლიტექნიკური სწავლების მნიშვნელობაზე, ამტკიცებენ, რომ ეს უკანასკნელი კარგია, მაგრამ საქმით არაფერს აკეთებენ, მათ ვერ შეძლეს იმ მარტივი იარაღ-ხელსაწყოების დამზადებაც კი, რომელიც არავითარ სიძნელესთან არ არის დაკავშირებული.

საჭიროა დაუყოვნებლივ გადავიდეთ სიტყვიდან საქმეზე. შევქმნათ აუცილებელი ბაზა ჩვენს სკოლებში პოლიტექნიზმის დანერგვისათვის. აღვზარდოთ მოსწავლეებში ნამდვილი საწარმოო შრომითი უნარ-ჩვევები, მივცეთ დიდ სამშობლოს ფიზიკურად ჯანმრთელი, ნათელი გონებისა და პრაქტიკული შრომისათვის მომზადებული ახალგაზრდობა. ამას მოითხოვს ჩვენგან პარტია და მთავრობა.

## 1905—1907 ШЫҚУСҚУА РЫЗТӘИ АРЕВОЛИУЦИА АКТИВЛА ИАЛАХУЗ СССР АОРДЕНҚУА РЫҬАРАЗЫ

1905—1907 шықусқуа рызтәи аурыстә революциа ҩынҩажәеижәаба шықуса ахыҵра иазкны, 1905—1907 шықусқуа рызтәи ареволиуциа активла иалахуз рҟуҧҩ дук ареволиуцнатә ҵыҧсра активла иахьалахуз азы СССР Иреиҳалахуз Асовет Апрезидиум Аусҧҟала ирыҭоуп аҳамҭақуа, убарҭ рхыҧхьаӡараҿы Гудауҭа араион аҟнытәи ЛЕНИН иорден иҭоуп Конҵьарна Васили Зурабиҧа.

## ქართულად გამოიცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი

სახელგამმა ცალკე ბროშურებად გამოუშვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის რეზოლუცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

ბროშურები გამოშვებულია მასობრივი ტირაჟით. (საქ[illegible])